1. პროგრამის ხელმძღვანელი ზრუნავს პროგრამის ადეკვატურ განხორციელებაზე, პრაქტიკისა და თეორიის კომპონენტის შეთავსებაზე, ასევე მის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსის განვითარებაზე, საქმიანობისას ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის შემხვედრ საჭიროებებს და ახდენს მათზე მოქნილ რეაგირებას.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი:

2.1. მონაწილეობს პროფესიული პროგრამის განვითარებასა და სრულყოფაში;

2.2. წელიწადში ერთხელ (სავალდებულო) და საჭიროების შემთხვევაში (რიგგარეშე) ახდენს პროგრამის რევიზიას და წარმოადგენს დასაბუთებულ მოსაზრებებს მისი მოდიფიცირების საჭიროებისთვის, რაც ეფუძნება კოლეჯში დანერგილ სიახლეებს, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გზების გაუმჯობესებას, ახალი სასწავლო მასალების შექმნას, შუალედური და დასკვნითი გამოცდების შედეგების ანალიზს, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსების/განახლების საჭიროებას, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, კანონმდებლობისა და რეგულაციების ცვლილების ასახვას.

2.3. მონაწილეობს სწავლების ხარისხის უზრუნველყოფაში.

2.4. მონაწილეობს ფორმალური განათლების აღიარების პროცესში.

2.5. მონაწილეობს ვერიფიკაციის პროცესში.

2.6. მონაწილეობს კოლეჯის შიდა მონიტორინგის ჯგუფის მუშაობაში:

2.6.1. ესწრება მეცადინეობებს კოლეჯსა და კომპანიაში;

2.6.2. მონაწილეობს შევსებული კითხვარების ანალიზის, შეფასების და რეკომენდაციების შემუშავების პროცესში;

2.6.3. წელიწადში ორჯერ ახდენს გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშგებას;

2.7. ყოველი ჯგუფის სწავლის დასრულების შემდეგ წარმოადგენს ანგარიშს:

2.7.1. პროგრამის განხორციელებისას მიღწეული შედეგების შესახებ;

2.7.2. პროგრამის განხორციელების ძლიერი მხარეებისა და ნაკლოვანებების შესახებ;

2.7.3. პროგრამის გაუმჯობესებისთვის განსახორციელებელი ქმედებების შესახებ.

2.8. მონაწილეობს პროფესიული სტუდენტის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროცესში, რაც გულისხმობს:

2.8.1. პროგრამაზე კონტინგენტის დაგეგმვაში მონაწილეობას;

2.8.2. სტუდენტებთან გეგმიურ ინდივიდუალურ გასაუბრებებს და მათი საჭიროებების იდენტიფიცირებას;

2.8.3. პორტფოლიოების ანალიზსა და საჭიროების შემთხვევაში არაგეგმიურ ინდივიდუალურ გასაუბრებას;

2.8.4. ღია კარის დღეებზე პროფესიის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;

2.8.5. რეკრუტირებაში მონაწილეობას;

2.9. მონაწილეობს სასწავლო პროცესის ორგანიზებაში:

2.9.1. ახდენს სასწავლო ცხრილების მონიტორინგს;

2.9.2. მონაწილეობს პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა/ჩანაცვლების პროცესში, მათი განვითარების საჭიროების დადგენაში;

2.9.3. მონაწილეობს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ობიექტების შერჩევაში;

2.9.4. ამოწმებს სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაზე შესრულების კრიტერიუმების ვერიფიცირებადი მტკიცებულებების შეგროვების სისწორესა და სისრულეს;

საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობს სწავლის შედეგების დადასტურების მონიტორინგის პროცესში.